



განმცხადებელი (დამინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0123355940 განცხადების თარიღი: 21.12.2023
ხელმოწერილი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომინკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

დადგენილების პროექტი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-0123355940**
თარიღი: **21/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემდგომი განხილვის მიზნით, წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის N23.1994.2177 განკარგულებას, მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების პროექტს.

დანართი: 7 (შვიდი) გვერდი

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.1994.2177
20 / დეკემბერი / 2023 წ.

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი
გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების
პროექტის მოწონების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „გ.დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით
დადგენილი წესით.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია
მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64),
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №----**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის
შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30
დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06.01.2015, სარეგისტრაციო კოდი 200130000.35.101.016108) დადგენილების:

1. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს, ხოლო საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მათ მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს 2025 წლის 1 იანვრამდე.“

2. დადგენილების 7² პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„72. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (0,001%) გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე წარმომოხილ საგადასახადო ვალდებულებებზეც.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №----**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06.01.2015, სარეგისტრაციო კოდი 200130000.35.101.016108) დადგენილების:

1. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს, ხოლო საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მათ მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს 2025 წლის 1 იანვრამდე.“

2. დადგენილების 7² პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„72. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M₃ კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (0,001%) გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზეც.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი

ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

თბილისში რეგულარული საქალაქო ტრანსპორტის და სპორტის დარგით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები და დარგის მმართველი სახელმწიფო უწყებები მომართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას და აღნიშნავენ, რომ ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტრანსპორტისა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე, რის გამოც მათ უგროვდებათ დიდი საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი და ითხოვენ გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოდგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების შემოღება თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის, ან/და ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეობების მიხედვით ამავე კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო ტრანსპორტისა და საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების

შესაბამისად) განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა საჭიროებს მოცულობით განახლებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შესაბამისად მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, რომლის უდიდეს ნაწილს სუბსიდირების სახით გამოყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის შუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭიროა გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენა.

წარმოდგენილი პროექტით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის, რომელიც შეადგენს ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს, მოქმედების ვადა გრძელდება 2025 წლის 1 იანვრამდე და ვრცელდება 2023 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზეც.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

პროექტის მიღება გავლენას მოახდენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) ინფორმაცია ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შესახებ

სამართლებრივი აქტის პროექტი არ გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა კოდექსიდან.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი (ავტორები): ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.